საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ეფექტურობა

ნინო აბესაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამართლის სკოლა, სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომის ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად."

ნინო აბესაძე

24.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის შესწავლითა და შეფასებით, ასევე ადგილობრივ პრაქტიკაზე დაკვირვებით შეაფასოს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის პროცესების ეფექტურობა. ჰუმანური მართლმსაჯულების პროცესში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს არასრულწლოვანი პატიმარი პირების საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობას. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა უნდა ემსახურებოდეს რესოციალიზაციის და განმეორებითი დანაშაულის თავიდან არიდების მიზანს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომის გამოყენება გაუმართლებელია.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლის შედარების მეთოდი, მიმოხილულია ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს არასრულწლოვანთა უფლებებს მართლმსაჯულების პროცესში, აღნიშნული სტანდარტები კი შედარებულია ეროვნულ კანონმდებლობასთან. ამ მეთოდის გამოყენებით ავტორმა შეძლო, დაედგინა, რამდენად შესაბამისობაშია ქართული კანონმდებლობა მნიშვნელოვან საერთაშორისო სტანდარტებთან. ამასთანავე, ნაშრომში გამოყენებულია პრაქტიკის შესწავლის ტექნიკა, კერძოდ ნაშრომში ნაჩვენებია 2020-2024 წლების განმავლობაში საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაშ მყოფი არასრულწლოვნების რესოციალიზაციის პროცესის პრაქტიკა, აღნიშნულმა მეთოდმა ავტორს საშუალება მისცა შეეფასებინა უახლოესი წლების განმავლობაში რესოციალიზაციის პროცესების ეფექტურობა და პასუხი გაეცა მთავარ საკვლევ კითხვაზე, რამდენად ეფექტურია ის. კვლევა ასევე დამყარებულია აღწერილობით/ მიმოხილვით მეთოდზე. ავტორი სხვადასხვა ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, აღწერს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესების მნიშვნელობას. ამასთანავე, ავტორი იყენებს შეფასების მეთოდს, სტატისტიკურ მონაცემზე დაკვირვებით აფასებს, რამდენად ეფექტურია ეროვნული კანონმდებლობის აღსრულება და ამავე დროს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რესოციალიზაციის

პროგრამები. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სხვა ავტორების ნაშრომები და კვლევები.

ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკები, ლიტერატურა და ანგარიშები მიუთითებს, რომ ეროვნული კანონმდებლობა მეტწილად იზიარებს საერთაშორისო სტანდარტების სულისკვეთებას და მიმართულია სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის აღსრულებისაკენ, თუმცა ამავე წარმატებით არ მუშაობს პრაქტიკა. კვლევის შედეგად, გამოიკვეთა არაერთი ხარვეზი და პრობლემა რესოციალიზაციის პროცესების აღსრულების ნაწილში და მეტწილად არაეფექტურად შეფასდა მთერი რიგი ღონისძიებები.

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანი, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, პენიტენციური დაწესებულება, მსჯავრდებული, პროგრამები.

Abstract

The purpose of this paper is to evaluate the effectiveness of resocialization processes for minors in Georgian penitentiary institutions by examining international and local legislations, as well as observing local practices. In the context of humane justice, it is crucial to prioritize the best interests of minor prisoners. The imprisonment of juveniles should serve the purposes of resocialization and the prevention of repeat offenses, otherwise, the use of the most severe punishment is unjustified.

In this research, a comparative analysis method is employed to evaluate local and international laws. All significant international documents regulating the rights of minors in the justice process are reviewed and compared with national legislation. This approach allows the author to determine the extent to which Georgian legislation complies with key international standards. Additionally, the study employs a practice study technique, specifically examining the resocialization processes of minors in Georgian penitentiary institutions from 2020 to 2024. The aforementioned methodology enabled the author to evaluate the effectiveness of resocialization processes conducted in the previous years and to address the central research question regarding its efficacy. The research also incorporates a descriptive/review method, wherein the author highlights the importance of resocialization processes for juvenile convicts based on an extensive review of various literature. Furthermore, the author uses an evaluation method to assess the effectiveness of national legislation and state-developed resocialization programs through the analysis of statistical data. The paper also references the works and studies of other authors.

The statistics, literature, and reports utilized in this paper indicate that national legislation largely aligns with international standards and aims to achieve the purposes of punishment and resocialization. However, the practical implementation is not as successful. The research identified several gaps and issues in the resocialization processes, and many measures were evaluated as largely ineffective.

Keywords: minor, resocialization-rehabilitation, penitentiary, convict, programs.